

ნორმათა პირველი ვერსიები შეიმუშავეს ს. ჯანაშიამ (მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში) და ლ. ლეჟავამ (მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში), გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

ნორმის პროექტის ახალი რედაქცია მოამზადა თამარ ვაშაკიძემ.

პროექტი განხილულია თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე (2022 წლის 22 ნოემბერს) და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2022 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე.

ატრიბუტული მსაზღვრელი არსებითი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში და რიცხვში

არსებითი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. საზღვრული წევრი მრავლობითში არ დაისმის, თუ მას მსაზღვრელად ახლავს ზომა-წონის ან სხვა ოდენობის გამომხატველი არსებითი სახელი (რომელთანაც ხშირად რაოდენობითი რიცხვითი სახელიც არის წარმოდგენილი): (ორი) კილო პური, (ხუთი) ჰექტარი მიწა, (სამი) ბოთლი ღვინო...

1.1. მსაზღვრელი არსებითი სახელი, რომლის ფუძე ხმოვანზე ბოლოვდება, ისე შეეწყობა საზღვრულს ბრუნვაში, როგორც ბოლოხმოვნისანი ზედსართავი.

სახ.	ჭიქა	წყალ-ი
მოთხრ.	ჭიქა	წყალ-მა
მიც.	ჭიქა	წყალ-ს
ნათ.	ჭიქა	წყალ-ის
მოქმ.	ჭიქა	წყალ-ით
ვით.	ჭიქა	წყალ-ად
ნოდ.	(ჭიქა	წყალ-ო)

1.2. ბოლოთანხმოვნისანი არსებითი სახელი, რომელიც ატრიბუტულ მსაზღვრელად არის წარმოდგენილი, ისე ეთანხმება საზღვრულს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

სახ.	ურემ-ი	შეშა
მოთხრ.	ურემ-მა	შეშა-მ
მიც.	ურემ	შეშა-ს
ნათ.	ურემ-ი	შეშა-ის
მოქმ.	ურემ-ი	შეშა-ით
ვით.	ურემ	შეშა-დ
ნოდ.	(ურემ-ო	შეშა-ვ)

1.3. თუ საზღვრულად წარმოდგენილია ვინ ჯგუფის არსებითი სახელი, ის მრავლობით რიცხვშიც დაისმის: მთა კაცები... გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როცა საზღვრულად გამოიყენება (გარკვეულ კონტექსტში) სიმრავლის გამომხატველი სახელი: ზღვა ხალხი...

2. პროფესია-საქმიანობისა თუ ნოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი ფუძეთანხმოვნისანი მსაზღვრელი (ექიმი, მწერალი, კომპოზიტორი, მხატვარი, პატრიარქი, ადვოკატი, ყურნალისტი, პროგრამისტი, კაპიტანი, გრაფი, დირექტორი, მდივანი, მერი, მინისტრი, მრჩეველი...) თავის საზღვრულს

სრულად ეთანხმება (ე. ი. ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს) მხოლოდ სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ხოლო მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში ფუძის სახით შეეწყობა მას.

სახ.	პროფესორ-ი	რაზმადე
მოთხრ.	პროფესორ-მა	რაზმადე-მ
მიც.	პროფესორ	რაზმადე-ს
ნათ.	პროფესორ	რაზმად-ის
მოქმ.	პროფესორ	რაზმად-ით
ვით.	პროფესორ	რაზმადე-დ
წოდ.	პროფესორ-ო	რაზმადე

2.1. ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა საზღვრულად წარმოდგენილია სახელი და გვარი ერთად.

სახ.	მინისტრ-ი	გიორგი	ფხაკადე
მოთხრ.	მინისტრ-მა	გიორგი	ფხაკადე-მ
მიც.	მინისტრ	გიორგი	ფხაკადე-ს
ნათ.	მინისტრ	გიორგი	ფხაკად-ის
მოქმ.	მინისტრ	გიორგი	ფხაკად-ით
ვით.	მინისტრ	გიორგი	ფხაკადე-დ
წოდ.	მინისტრ-ო	გიორგი	ფხაკადე

2.2. ერთი და იმავე არსებითი სახელით გადმოცემული ფუძეთანხმონიანი მსაზღვრელი სხვადასხვაგვარად შეეწყობა საკუთარი და საზოგადო სახელებით წარმოდგენილ საზღვრულს: თუ ეს უკანასკნელი (საზღვრული) საკუთარი სახელია, მსაზღვრელი მას ისე ეთანხმება, როგორც პროფესია-საქმიანობისა და წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვები, ხოლო თუ საზღვრული წევრი საზოგადო სახელით არის გამოხატული, დასახელებული ტიპის მსაზღვრელი მას შეეწყობა ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

სახ.	ექიმ-ი	მარაბელ-ი	ექიმ-ი	კაც-ი
მოთხრ.	ექიმ-მა	მარაბელ-მა	ექიმ-მა	კაც-მა
მიც.	ექიმ	მარაბელ-ს	ექიმ	კაც-ს
ნათ.	ექიმ	მარაბლ-ის	ექიმ-ი	კაც-ის
მოქმ.	ექიმ	მარაბლ-ით	ექიმ-ი	კაც-ით
ვით.	ექიმ	მარაბლ-ად	ექიმ	კაც-ად
წოდ.	ექიმ-ო	მარაბელ-ო	ექიმ-ო	კაც-ო

2.3. **მცხოვრები, განმცხადებელი, ხელისმომწერი** ტიპის ფუძეთანხმონიანი მიმღობური ფორმები ისე ეთანხმებიან საკუთარი სახელებით წარმოდგენილ საზღვრულს ბრუნვაში, როგორც პროფესია-საქმიანობისა თუ წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი სახელები.

სახ.	განმცხადებელ-ი	თემურ	გოგიჩაიშვილ-ი
მოთხრ.	განმცხადებელ-მა	თემურ	გოგიჩაიშვილ-მა
მიც.	განმცხადებელ	თემურ	გოგიჩაიშვილ-ს
ნათ.	განმცხადებელ	თემურ	გოგიჩაიშვილ-ის

მოქმ.	განმცხადებელ	თემურ	გოგიჩაიშვილ-ით
ვით.	განმცხადებელ	თემურ	გოგიჩაიშვილ-ად
წოდ.	განმცხადებელ-ო	თემურ	გოგიჩაიშვილ-ო

2.4. ფუძემოვნიანი მსაზღვრელი (ასევე პროფესია-საქმიანობის გამომხატველი) ისე შეენყო-ბა საზღვრულს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

სახ.	მეპურე	ზაქრო	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე
მოთხრ.	მეპურე	ზაქრო-მ	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე-მ
მიც.	მეპურე	ზაქრო-ს	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე-ს
ნათ.	მეპურე	ზაქრო-ს(ი)	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძ-ის
მოქმ.	მეპურე	ზაქრო-თი	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძ-ით
ვით.	მეპურე	ზაქრო-დ	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე-დ
წოდ.	მეპურე	ზაქრო	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე

3. გეოგრაფიულ სახელთა მსაზღვრელები (**ქალაქი, სოფელი**) ისე ეთანხმებიან საზღვრულს ბრუნვაში, როგორც პროფესია-საქმიანობის აღმნიშვნელი ფუძეთანხმონიანი დანართები.

სახ.	ქალაქი	თბილის-ი
მოთხრ.	ქალაქ-მა	თბილის-მა
მიც.	ქალაქ	თბილის-ს
ნათ.	ქალაქ	თბილის-ის
მოქმ.	ქალაქ	თბილის-ით
ვით.	ქალაქ	თბილის-ად
წოდ.	ქალაქ-ო	თბილის-ო

აღნიშნული ტიპის მსაზღვრელი (**ქალაქი, სოფელი**) ნაკლებად დასტურდება პოსტპოზიციური წყობით, თუმცა პოეზიაში ასეთი შემთხვევებიც დაჩნდება: „ჩემო **თბილის ქალაქო**, შენმა დარმაც იდარა“ (პ. გრუზ.).

3.1. ფუძემოვნიანი ატრიბუტული მსაზღვრელი (**დაბა, მდინარე** ტიპისა) საზღვრულს ბრუნ-ვაში შეენყობა ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი სახელი.

სახ.	დაბა	ნასაკირალ-ი
მოთხრ.	დაბა	ნასაკირალ-მა
მიც.	დაბა	ნასაკირალ-ს
ნათ.	დაბა	ნასაკირალ-ის
მოქმ.	დაბა	ნასაკირალ-ით
ვით.	დაბა	ნასაკირალ-ად
წოდ.	დაბა	ნასაკირალ-ო

4. საზოგადო სახელები **ბატონი** და **ქალბატონი** საკუთარ სახელებთან ბრუნებისას ინარ-ჩუნებენ -ი ნიშანს (ბრუნვისნიშნისეულ ხმონით ელემენტს) ნათ. და მოქმ. ბრუნვებში (წოდებით ბრუნვაში დასტურდება აგრეთვე **ზურაბ ბატონო** შესიტყვება).

სახ.	ბატონ-ი	ზურაბ-ი	ქალბატონ-ი	რუსუდან-ი
მოთხრ.	ბატონ-მა	ზურაბ-მა	ქალბატონ-მა	რუსუდან-მა
მიც.	ბატონ	ზურაბ-ს	ქალბატონ	რუსუდან-ს
ნათ.	ბატონ-ი	ზურაბ-ის	ქალბატონ-ი	რუსუდან-ის
მოქმ.	ბატონ-ი	ზურაბ-ით	ქალბატონ-ი	რუსუდან-ით
ვით.	ბატონ	ზურაბ-ად	ქალბატონ	რუსუდან-ად
წოდ.	ბატონ-ო	ზურაბ	ქალბატონ-ო	რუსუდან

4.1. უცხოური სიტყვები, რომლებიც საკუთარ სახელთა მსაზღვრელებად გამოიყენება

(**მადამ, მისტერ, მისის, ლედი, სერ, სინიორ, სინიორინა, მესიე, ფრაუ, დონ, დონა, პანი...** ტიპისა)

– ფუძემოვნიანნიცა და ფუძეთანხმოვნიანნიც – ყველა ბრუნვაში ფორმაუცვლელად შეენწყობიან საკუთარ სახელებს.

სახ.	მისტერ	ჰიგინს-ი	სერ	მაიკლ-ი	ლედი	ჰამილტონ-ი
მოთხრ.	მისტერ	ჰიგინს-მა	სერ	მაიკლ-მა	ლედი	ჰამილტონ-მა
მიც.	მისტერ	ჰიგინს-ს	სერ	მაიკლ-ს	ლედი	ჰამილტონ-ს
ნათ.	მისტერ	ჰიგინს-ის	სერ	მაიკლ-ის	ლედი	ჰამილტონ-ის
მოქმ.	მისტერ	ჰიგინს-ით	სერ	მაიკლ-ით	ლედი	ჰამილტონ-ით
ვით.	მისტერ	ჰიგინს-ად	სერ	მაიკლ-ად	ლედი	ჰამილტონ-ად
წოდ.	მისტერ	ჰიგინს-ო	სერ	მაიკლ	ლედი	ჰამილტონ-ო

დასაბუთება

თანამედროვე ქართულში ატრიბუტულ მსაზღვრელად დასტურდება ზომა-წონის, ფართობის, სანყაოსა თუ რაიმე სიდიდე-სიმრავლის აღმნიშვნელი არსებითი სახელები (ორი **მეტრი** ქსოვილი, **კილოგრამი** შაქარი, **ჰექტარი** მიწა, **ჭიქა** წყალი, **ურემი** შეშა, **ზღვა** ხალხი...), პროფესია-საქმიანობისა თუ წოდება-თანამდებობის გამომხატველი სიტყვები (**პროფესორი** რაზმაძე, **მწერალი** მიხეილ ჯავახიშვილი, **ადვოკატი** გელაშვილი...), გეოგრაფიულ სახელთა დანართები (**ქალაქი** თბილისი, **სოფელი** დილომი...), მიმართვა-მოხსენიებისას გამოყენებული ქართული თუ უცხოური სიტყვები (**ბატონი** ზურაბი, **ქალბატონი** რუსუდანი, **მისტერ** ჰიგინსი, **ლედი** ჰამილტონი...), ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სახელები (**დეიდა** ქეთევანი, **ბიძია** გიორგი, **ნოდარ** ბიძია..., **მამა-შვილი** დიუმები, **ძმები** გრიმები, **და-ძმა** ბაგრატიონები...), სასულიერო პირთა მიმართვისას გამოყენებული სიტყვები (**მამა** პეტრე, **დედა** ეფემია...) და სხვ. მაგალითები: „ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი **ადლი მინა**“ (ილია); „იქ ერთი **ორმო თხილი** მაქვს შენახული“ (ვაჟა); „გლემბა გათიბა ცხრა **ურემი თივა**“ (ი. ევლოშვილი); „ვენახში ათი-თორმეტი **ძირი ატამიც** იდგა“ (რ. ჯაფარიძე); „დედამ შვილს ჩაულაგა ერთი **ხელი... ქვეშაგები**“ (ილია); „გამოფენას **ზღვა ხალხი** მიანყდა“ („ლიტ. და ხელოვნ.“); „**პროფესორ რაზმაძის** ლექციას ყველა უსმენდა“; ეფემია **კაპიტან ლომოვს** ესაუბრებოდა“ (მ. ჯავახიშვილი); „იყო დრო, როცა **ქალაქ ფოთის** ნავთსადგურში პირველად იწვილა ცეცხლის გემმა“ (გ. წერეთელი); „**ქალბატონი რუსუდანი**თ მთელი სკოლა ამაყობს“; „არასდროს დამავინყდება **დეიდა მაიკოს** ალერსიანი შემოცქერა“ (გ. ლეონიძე); „**მამა ზურაბის** ყოველ სიტყვას მრევლი სულგანაბული უსმენდა“; „**მისტერ ჩესტლს** თქვენი გაცნობა სურს, **მისტერ კოპერფილდ**“ (ქ. ბაქრ. თარგმ.) და ა. შ.

არსებითი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმებისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

საზღვრული წევრი მრავლობითში არ დაისმის, თუ მას მსაზღვრელად ახლავს ზომა-წონის ან სხვა ოდენობის გამომხატველი არსებითი სახელი (რომელთანაც ხშირად რაოდენობითი რიცხვითი სახელიც არის წარმოდგენილი): (ორი) კილო პური, (ხუთი) ჰექტარი მიწა, (სამი) ბოთლი ღვინო...

სახ.	ჰექტარ-ი	მიწა	ხუთ-ი	ჰექტარ-ი	მიწა
მოთხრ.	ჰექტარ-მა	მიწა-მ	ხუთ-მა	ჰექტარ-მა	მიწა-მ
მიც.	ჰექტარ	მიწა-ს	ხუთ	ჰექტარ	მიწა-ს
ნათ.	ჰექტარ-ი	მიწ-ის	ხუთ-ი	ჰექტარ-ი	მიწ-ის
მოქმ.	ჰექტარ-ი	მიწ-ით	ხუთ-ი	ჰექტარ-ი	მიწ-ით
ვით.	ჰექტარ	მიწა-დ	ხუთ	ჰექტარ	მიწა-დ
ნოდ.	(ჰექტარ-ო	მიწა-ვ)	(ხუთ-ო	ჰექტარ-ო	მიწა-ვ)

მსაზღვრელი არსებითი სახელი, რომლის ფუძე ხმოვანზე ბოლოვდება, ისე შეეწყობა საზღვრულს ბრუნვაში, როგორც ბოლოხმოვნისანი ზედსართავი.

სახ.	ჭიქა	წყალ-ი	ერთ-ი	ჭიქა	წყალ-ი
მოთხრ.	ჭიქა	წყალ-მა	ერთ-მა	ჭიქა	წყალ-მა
მიც.	ჭიქა	წყალ-ს	ერთ	ჭიქა	წყალ-ს
ნათ.	ჭიქა	წყლ-ის	ერთ-ი	ჭიქა	წყლ-ის
მოქმ.	ჭიქა	წყლ-ით	ერთ-ი	ჭიქა	წყლ-ით
ვით.	ჭიქა	წყლ-ად	ერთ	ჭიქა	წყლ-ად
ნოდ.	(ჭიქა	წყალ-ო)	(ერთ-ო	ჭიქა	წყალ-ო)

ბოლოთანხმოვნისანი მსაზღვრელი არსებითი სახელი ისე ეთანხმება თავის საზღვრულს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

სახ.	ურემ-ი	შეშა	ულელ-ი	ხარ-ი
მოთხრ.	ურემ-მა	შეშა-მ	ულელ-მა	ხარ-მა
მიც.	ურემ	შეშა-ს	ულელ	ხარ-ს
ნათ.	ურემ-ი	შეშ-ის	ულელ-ი	ხარ-ის
მოქმ.	ურემ-ი	შეშ-ით	ულელ-ი	ხარ-ით
ვით.	ურემ	შეშა-დ	ულელ	ხარ-ად
ნოდ.	(ურემ-ო	შეშა-ვ)	(ულელ-ო	ხარ-ო)

თუ საზღვრულად წარმოდგენილია ვინ ჯგუფის არსებითი სახელი, ის მრავლობით რიცხვშიც დაისმის: მთა კაცები... გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როცა საზღვრულად გამოიყენება (გარკვეულ კონტექსტში) სიმრავლის გამომხატველი სახელი: ზღვა ხალხი...

სახ.	მთა	კაც-ებ-ი	ზღვა	ხალხ-ი
მოთხრ.	მთა	კაც-ებ-მა	ზღვა	ხალხ-მა
მიც.	მთა	კაც-ებ-ს	ზღვა	ხალხ-ს
ნათ.	მთა	კაც-ებ-ის	ზღვა	ხალხ-ის
მოქმ.	მთა	კაც-ებ-ით	ზღვა	ხალხ-ით
ვით.	მთა	კაც-ებ-ად	ზღვა	ხალხ-ად
ნოდ.	მთა	კაც-ებ-ო	ზღვა	ხალხ-ო

პროფესია-საქმიანობისა თუ წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი ფუძეთანხმოვნისა მსაზღვრელი (ექიმი, მწერალი, კომპოზიტორი, მხატვარი, პატრიარქი, ადვოკატი, ჟურნალისტი, პროგრამისტი, კაპიტანი, გრაფი, დირექტორი, მდივანი, მერი, მინისტრი, მრჩეველი...) თავის საზღვრულს სრულად ეთანხმება (ე. ი. ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს) სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ხოლო მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში ფუძის სახით შეეწყობა მას.

სახ.	პროფესორ-ი	რაზმაძე	პატრიარქ-ი	ილია II
მოთხრ.	პროფესორ-მა	რაზმაძე-მ	პატრიარქ-მა	ილია II-მ
მიც.	პროფესორ	რაზმაძე-ს	პატრიარქ	ილია II-ს
ნათ.	პროფესორ	რაზმაძ-ის	პატრიარქ	ილია II-ის
მოქმ.	პროფესორ	რაზმაძ-ით	პატრიარქ	ილია II-ით
ვით.	პროფესორ	რაზმაძე-დ	პატრიარქ	ილია II-დ
წოდ.	პროფესორ-ო	რაზმაძე	პატრიარქ-ო	ილია II-(ვ)

სახ.	გრაფ-ი	ალექსანდრე	ადვოკატ-ი	გელაშვილ-ი
მოთხრ.	გრაფ-მა	ალექსანდრე-მ	ადვოკატ-მა	გელაშვილ-მა
მიც.	გრაფ	ალექსანდრე-ს	ადვოკატ	გელაშვილ-ს
ნათ.	გრაფ	ალექსანდრე-ს(ი)	ადვოკატ	გელაშვილ-ის
მოქმ.	გრაფ	ალექსანდრე-თი	ადვოკატ	გელაშვილ-ით
ვით.	გრაფ	ალექსანდრე-დ	ადვოკატ	გელაშვილ-ად
წოდ.	გრაფ-ო	ალექსანდრე	ადვოკატ-ო	გელაშვილ-ო

ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, როცა საზღვრულად წარმოდგენილია სახელი და გვარი ერთად.

სახ.	მწერალ	კონსტანტინე	გამსახურდია
მოთხრ.	მწერალ-მა	კონსტანტინე	გამსახურდია-მ
მიც.	მწერალ	კონსტანტინე	გამსახურდია-ს
ნათ.	მწერალ	კონსტანტინე	გამსახურდია-ს(ი)
მოქმ.	მწერალ	კონსტანტინე	გამსახურდია-თი
ვით.	მწერალ	კონსტანტინე	გამსახურდია-დ
წოდ.	მწერალ-ო	კონსტანტინე	გამსახურდია

სახ.	კომპოზიტორ-ი	ზაქარია	ფალიაშვილ-ი
მოთხრ.	კომპოზიტორ-მა	ზაქარია	ფალიაშვილ-მა
მიც.	კომპოზიტორ	ზაქარია	ფალიაშვილ-ს
ნათ.	კომპოზიტორ	ზაქარია	ფალიაშვილ-ის
მოქმ.	კომპოზიტორ	ზაქარია	ფალიაშვილ-ით
ვით.	კომპოზიტორ	ზაქარია	ფალიაშვილ-ად
წოდ.	კომპოზიტორ-ო	ზაქარია	ფალიაშვილ-ო

სახ.	მინისტრ-ი	გიორგი	ფხაკაძე
მოთხრ.	მინისტრ-მა	გიორგი	ფხაკაძე-მ
მიც.	მინისტრ	გიორგი	ფხაკაძე-ს

ნათ.	მინისტრ	გიორგი	ფხაკაძე-ის
მოქმ.	მინისტრ	გიორგი	ფხაკაძე-ით
ვით.	მინისტრ	გიორგი	ფხაკაძე-დ
წოდ.	მინისტრ-ო	გიორგი	ფხაკაძე

სახ.	მერ-ი	ვახტანგ	გიორგობიანი-ი
მოთხრ.	მერ-მა	ვახტანგ	გიორგობიანი-მა
მიც.	მერ	ვახტანგ	გიორგობიანი-ს
ნათ.	მერ	ვახტანგ	გიორგობიანი-ის
მოქმ.	მერ	ვახტანგ	გიორგობიანი-ით
ვით.	მერ	ვახტანგ	გიორგობიანი-ად
წოდ.	მერ-ო	ვახტანგ	გიორგობიანი-ო

ერთი და იმავე არსებითი სახელით გადმოცემული ფუძეთანხმოვნის მსაზღვრელი სხვა-დასხვაგვარად შეეწყობა საკუთარი და საზოგადო სახელებით წარმოდგენილ საზღვრულს: თუ ეს უკანასკნელი (საზღვრული) საკუთარი სახელია, მსაზღვრელი მას ისე ეთანხმება, როგორც პროფესია-საქმიანობისა და წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვები, ხოლო თუ საზღვრული წვერი საზოგადო სახელით არის გამოხატული, დასახელებული ტიპის მსაზღვრელი მას შეეწყობა ისე, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

საკუთარ სახელთან

საზოგადო სახელთან

სახ.	ექიმ-ი	მაჩაბელ-ი	ექიმ-ი	კაც-ი
მოთხრ.	ექიმ-მა	მაჩაბელ-მა	ექიმ-მა	კაც-მა
მიც.	ექიმ	მაჩაბელ-ს	ექიმ	კაც-ს
ნათ.	ექიმ	მაჩაბელ-ის	ექიმ-ი	კაც-ის
მოქმ.	ექიმ	მაჩაბელ-ით	ექიმ-ი	კაც-ით
ვით.	ექიმ	მაჩაბელ-ად	ექიმ	კაც-ად
წოდ.	ექიმ-ო	მაჩაბელ-ო	ექიმ-ო	კაც-ო

საკუთარ სახელთან

საზოგადო სახელთან

სახ.	პროგრამისტ-ი	თამაზ	ელიზბარაშვილ-ი	პროგრამისტ-ი	კაც-ი
მოთხრ.	პროგრამისტ-მა	თამაზ	ელიზბარაშვილ-მა	პროგრამისტ-მა	კაც-მა
მიც.	პროგრამისტ	თამაზ	ელიზბარაშვილ-ს	პროგრამისტ	კაც-ს
ნათ.	პროგრამისტ	თამაზ	ელიზბარაშვილ-ის	პროგრამისტ-ი	კაც-ის
მოქმ.	პროგრამისტ	თამაზ	ელიზბარაშვილ-ით	პროგრამისტ-ი	კაც-ით
ვით.	პროგრამისტ	თამაზ	ელიზბარაშვილ-ად	პროგრამისტ	კაც-ად
წოდ.	პროგრამისტ-ო	თამაზ	ელიზბარაშვილ-ო	პროგრამისტ-ო	კაც-ო

საკუთარ სახელთან

საზოგადო სახელთან

სახ.	ჟურნალისტ-ი	ქეთევან	თავაძე	ჟურნალისტ-ი	ქალ-ი
მოთხრ.	ჟურნალისტ-მა	ქეთევან	თავაძე-მ	ჟურნალისტ-მა	ქალ-მა
მიც.	ჟურნალისტ	ქეთევან	თავაძე-ს	ჟურნალისტ	ქალ-ს

ნათ.	ჟურნალისტ	ქეთევან	თავაძის	ჟურნალისტ-ი	ქალ-ის
მოქმ.	ჟურნალისტ	ქეთევან	თავაძით	ჟურნალისტ-ი	ქალ-ით
ვით.	ჟურნალისტ	ქეთევან	თავაძე-დ	ჟურნალისტ	ქალ-ად
წოდ.	ჟურნალისტ-ო	ქეთევან	თავაძე	ჟურნალისტ-ო	ქალ-ო

მცხოვრები, განმცხადებელი, ხელისმომწერი ტიპის ფუძეთანხმომწინიანი მიმღებობური ფორმები ისე ეთანხმებიან საკუთარი სახელებით წარმოდგენილ საზღვრულს ბრუნვაში, როგორც პროფესია-საქმიანობისა თუ წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი სახელები.

სახ.	განმცხადებელ-ი	თემურ	გოგიჩაიშვილ-ი
მოთხრ.	განმცხადებელ-მა	თემურ	გოგიჩაიშვილ-მა
მიც.	განმცხადებელ	თემურ	გოგიჩაიშვილ-ს
ნათ.	განმცხადებელ	თემურ	გოგიჩაიშვილ-ის
მოქმ.	განმცხადებელ	თემურ	გოგიჩაიშვილ-ით
ვით.	განმცხადებელ	თემურ	გოგიჩაიშვილ-ად
წოდ.	განმცხადებელ-ო	თემურ	გოგიჩაიშვილ-ო

ფუძემოწინიანი მსაზღვრელი (პროფესია-საქმიანობის გამომხატველი) ისე შეეწყობა საზღვრულს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

სახ.	მეპურე	ზაქრო	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე
მოთხრ.	მეპურე	ზაქრო-მ	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე-მ
მიც.	მეპურე	ზაქრო-ს	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე-ს
ნათ.	მეპურე	ზაქრო-ს(ი)	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძის
მოქმ.	მეპურე	ზაქრო-თი	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძით
ვით.	მეპურე	ზაქრო-დ	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე-დ
წოდ.	მეპურე	ზაქრო	მევიოლინე	ლიანა	ისაკაძე

მსაზღვრელად გამოყენებული ფუძეთანხმომწინიანი სახელები (**ქალაქი, სოფელი** ტიპისა) თანხმობით საზღვრულებს ბრუნვაში ეთანხმებიან ისე, როგორც პროფესია-საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვები.

სახ.	ქალაქი	თბილის-ი	სოფელ-ი	კარალეთ-ი
მოთხრ.	ქალაქ-მა	თბილის-მა	სოფელ-მა	კარალეთ-მა
მიც.	ქალაქ	თბილის-ს	სოფელ	კარალეთ-ს
ნათ.	ქალაქ	თბილის-ის	სოფელ	კარალეთ-ის
მოქმ.	ქალაქ	თბილის-ით	სოფელ	კარალეთ-ით
ვით.	ქალაქ	თბილის-ად	სოფელ	კარალეთ-ად
წოდ.	ქალაქ-ო	თბილის-ო	სოფელ-ო	კარალეთ-ო

აღნიშნული ტიპის მსაზღვრელი (**ქალაქი, სოფელი**) ნაკლებად დასტურდება პოსტპოზიციური წყობით, თუმცა პოეზიაში ასეთი შემთხვევებიც დაჩნდება: „ჩემო **თბილის ქალაქო**, შენმა დარმაც იდარა“ (პ. გრუზ.).

ფუძემოწინიანი მსაზღვრელი (**დაბა, მდინარე** ტიპისა) ისე ეთანხმება საზღვრულს ბრუნვაში,

როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი.

სახ.	დაბა	ნასაკირალ-ი	მდინარე	მტკვარ-ი
მოთხრ.	დაბა	ნასაკირალ-მა	მდინარე	მტკვარ-მა
მიც.	დაბა	ნასაკირალ-ს	მდინარე	მტკვარ-ს
ნათ.	დაბა	ნასაკირალ-ის	მდინარე	მტკვარ-ის
მოქმ.	დაბა	ნასაკირალ-ით	მდინარე	მტკვარ-ით
ვით.	დაბა	ნასაკირალ-ად	მდინარე	მტკვარ-ად
ნოდ.	დაბა	ნასაკირალ-ო	მდინარე	მტკვარ-ო

საზოგადო სახელები **ბატონი** და **ქალბატონი** საკუთარ სახელებთან ბრუნებისას ინარჩუნებენ -ი ნიშანს (ბრუნვისნიშნისეულ ხმოვნით ელემენტს) ნათ. და მოქმ. ბრუნვებში. ნოდებში დასტურდება აგრეთვე **ზურაბ ბატონო** შესიტყვება.

სახ.	ბატონ-ი	ზურაბ-ი	ქალბატონ-ი	რუსუდან-ი
მოთხრ.	ბატონ-მა	ზურაბ-მა	ქალბატონ-მა	რუსუდან-მა
მიც.	ბატონ	ზურაბ-ს	ქალბატონ	რუსუდან-ს
ნათ.	ბატონ-ი	ზურაბ-ის	ქალბატონ-ი	რუსუდან-ის
მოქმ.	ბატონ-ი	ზურაბ-ით	ქალბატონ-ი	რუსუდან-ით
ვით.	ბატონ	ზურაბ-ად	ქალბატონ	რუსუდან-ად
ნოდ.	ბატონ-ო	ზურაბ	ქალბატონ-ო	რუსუდან

უცხოური სიტყვები, რომლებიც საკუთარ სახელებს განსაზღვრავენ (**მადამ, მისტერ, მისის, ლედი, სერ, სინიორ, სინიორინა, მესიე, ფრაუ, დონ, დონა, ჰანი...** ტიპისა) – ფუძემოვნიანნიცა და ფუძეთანხმოვნიანნიცა – ყველა ბრუნვაში ფორმაუცვლელად შეენყობიან საკუთარ სახელებს.

სახ.	მისტერ	ჰიგინს-ი	ლედი	ჰამილტონ-ი	სერ	მაიკლ-ი
მოთხრ.	მისტერ	ჰიგინს-მა	ლედი	ჰამილტონ-მა	სერ	მაიკლ-მა
მიც.	მისტერ	ჰიგინს-ს	ლედი	ჰამილტონ-ს	სერ	მაიკლ-ს
ნათ.	მისტერ	ჰიგინს-ის	ლედი	ჰამილტონ-ის	სერ	მაიკლ-ის
მოქმ.	მისტერ	ჰიგინს-ით	ლედი	ჰამილტონ-ით	სერ	მაიკლ-ით
ვით.	მისტერ	ჰიგინს-ად	ლედი	ჰამილტონ-ად	სერ	მაიკლ-ად
ნოდ.	მისტერ	ჰიგინს-ო	ლედი	ჰამილტონ-ო	სერ	მაიკლ

ლიტერატურა

1. არაბული ავთ., ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, 2004.
2. აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბილისი, 2009.
3. დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1973.
4. თანამედროვე ქართული ენა, მორფოლოგია, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი, 2011.
5. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 2010.
6. კვაჭაძე ლ., ქართული ენა, თბილისი, 2018.
7. ლეჟავა ლ., მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში, თა-

ნამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1970.

8. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, თბილისი, 1973.
9. ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი, 1998.
10. ჯანაშია ს., მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში (წითელი დროშის თუ წითელ დროშის?), თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1970.